

შპს “ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი”
ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შინაარსი

<u>მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა.....</u>	<u>3</u>
<u>დამოუკიდებელ აუდიტორთა</u> <u>დასკვნა.....</u>	<u>5</u>
<u>ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება.....</u>	<u>9</u>
<u>მოგება-ზარალის და სრული შემოსავალის ინდივიდუალური</u> <u>ანგარიშგება.....</u>	<u>10</u>
<u>ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება.....</u>	<u>11</u>
<u>კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება.....</u>	<u>12</u>
<u>ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....</u>	<u>13</u>

შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოტონიკი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოტონიკი“-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და აკუმულირებული ფონდების ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2018 წლის 26 ივლისს.

მენეჯმენტის სახელით:



დირექტორი
ილია ინჯია

26 ივლისი, 2018
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
თამარ არსლანაშვილი

26 ივლისი, 2018
თბილისი, საქართველო

შპს “ქართული აუდიტორული კომპანია

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს ხელმძღვანელს ილია ინჯიას

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, აკუმულირებული ფონდების ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსის) შესაბამისად, ჩვენ ვართ შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს კომპანიისგან დამოუკიდებლები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ ჩვენ და გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2017 წლის 23 მარტს.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „კომპანიის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და

არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ბასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია

ოთარ ჩიკლაური
შპს ქართული აუდიტორული კომპანია
25 ივლისი, 2018
თბილისი, საქართველო



	შენიშვნა	31/12/2016	31/12/2017
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	4	57,039	737,225
მოკლევადიანი მოთხოვნები	5	17,965,416	23,772,124
გაცემული მოკლევადიანი სესხები	6	-	874,996
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	173,271	170,818
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე		702	702
ჯამურად მიმდინარე აქტივები		18,196,428	25,555,864
ძირითადი საშუალებები	8	12,490,544	12,003,331
გაცემული გრძელვადიანი სესხები	6	1,321,566	-
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		13,812,111	12,003,331
სულ აქტივები		32,008,538	37,559,196
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება		246,512	380,318
გასაცემი ხელფასები		119,933	116,501
გადასახდელი გადასახადები	9	372,486	145,474
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		738,932	642,294
გრძელვადიანი სესხები	10	6,134,420	6,603,120
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		6,134,420	6,603,120
სულ ვალდებულებები		6,873,351	7,245,414
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		25,133,187	30,311,782
სულ კაპიტალი		25,135,187	30,313,782
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		32,008,538	37,559,196

12-32 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 26 ივლისს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ შემდეგი პირები:



დირექტორი
ილია ინჯია

26 ივლისი, 2018
თბილისი, საქართველო





მთავარი ბუღალტერი
თამარ არღანაშვილი

26 ივლისი, 2018
თბილისი, საქართველო

	შენიშვნა	12 თვე, 2016 წ.	12 თვე, 2017 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან		13,347,968	12,763,377
თვითღირებულების ხარჯები		(3,534,101)	(3,212,404)
სულ საოპერაციო შემოსავალი		9,813,868	9,550,973
საოპერაციო ხარჯები	11	(4,468,726)	(4,141,046)
საპროცენტო შემოსავლები		232,566	141,586
დადებითი საკურსო სხვაობები		-	166,755
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		5,645	26,454
სულ არასაოპერაციო შემოსავლები		238,212	334,795
საპროცენტო ხარჯები		(507,466)	(502,730)
უარყოფითი საკურსო სხვაობები		(503,532)	-
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები		(21,790)	(50,427)
სულ არასაოპერაციო ხარჯები		(1,032,788)	(553,157)
მოგება დაბეგვრამდე		4,550,565	5,191,566
მოგების გადასახადის ხარჯი		(799,802)	(12,971)
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან		3,750,763	5,178,595

12-32 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 26 ივლისს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ შემდეგი პირები:



დირექტორი
 ილია ინჯია

26 ივლისი, 2018
 თბილისი, საქართველო





მთავარი ბუღალტერი
 თამარ არდანაშვილი

26 ივლისი, 2018
 თბილისი, საქართველო

	12/31/2016	12/31/2017
მოგება დაბეგრვამდე	4,550,565	5,191,566
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,072,158	1,018,402
მოგების გადასახადი	(799,802)	(12,971)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	4,822,921	6,196,998
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე		
ცვლილებები მოკლევადიან მოთხოვნებში	(3,584,080)	(5,806,708)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(25,795)	2,453
ცვლილებები გაცემულ სესხებში	(1,321,566)	446,571
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	(10,021)	133,806
ცვლილებები გასაცემ ხელფასებში	119,933	(3,432)
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	166,336	(227,012)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	167,728	742,675
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა	(602,999)	(531,190)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(602,999)	(531,190)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	649,479	468,700
დივიდენდის გაცემა	(355,105)	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	294,374	468,700
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	(140,897)	680,186
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	197,936	57,039
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	57,039	737,225

12-32 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 26 ივლისს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ შემდეგი პირები:


 დირექტორი
 ილია ინჯია
 26 ივლისი, 2018
 თბილისი, საქართველო




 მთავარი ბუღალტერი
 თამარ არლანაშვილი
 26 ივლისი, 2018
 თბილისი, საქართველო

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამურად
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,000	21,737,529	21,739,529
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	3,750,763	3,750,763
დივიდენდის გაცემა	-	(355,105)	(355,105)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	25,133,187	25,135,187
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	5,178,595	5,178,595
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	30,311,782	30,313,782

12-32 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 26 ივლისს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ შემდეგი პირები:



დირექტორი
ილია ინჯია

26 ივლისი, 2018
თბილისი, საქართველო





მთავარი ბუღალტერი
თამარ არღანაშვილი

26 ივლისი, 2018
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“ დაფუძნდა 1996 წლის 05 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204892330, მარეგისტრირებული ორგანო არის ვაკის რაიონის სასამართლო, კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. პოლიტკოვსაკაიას ქ., №42. კომპანიის დამფუძნებლები არიან: შპს სისტემ ნეტი (საიდენტიფიკაციო კოდი: 205267423) - წილი 50%, ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616) - წილი 25.3%, ავთანდილ იაშვილი (პ/ნ 01002004622) - წილი 14.3%, კოტე სამუშია (პ/ნ 01017003792) - წილი 5%, ლილი სუხიტაშვილი (პ/ნ 01017003643) - წილი 3.4%, ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190) - წილი 1.4% და ვახტანგ ამაშუკელი (პ/ნ 01012008906) - წილი 0.6%.

შპს „სისტემ ნეტი“-ის დამფუძნებლები არიან: ავთანდილ იაშვილი (პ/ნ 01002004622) - წილი 29.349%, ილია ინჯია (პ/ნ 01007000232) - წილი 21.565, ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616) - წილი 15.318%, ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190) - წილი 7.781%, ხათუნა ინჯია (პ/ნ 01007005738) - წილი 5.714%, თეიმურაზ ბერიშვილი (პ/ნ 01026001596) - წილი 4.183%, ლალი რუხაია (პ/ნ 01007002598) - წილი 4.149%, კონსტანტინე ხაჯალაია (პ/ნ 01009002835) - წილი 3.128%, თეიმურაზ ცხვარიაშვილი (პ/ნ 01026003544) - წილი 2.028%, ლილი სუხიტაშვილი (პ/ნ 01017003643) - წილი 2.091%, კოტე სამუშია (პ/ნ 01017003792) - წილი 1.699%, ჯამბული გეგეჭკორი (პ/ნ 01017000485) - წილი 1.171%, ნოდარ გაბედავა (პ/ნ 62001023917) - წილი 1.038%, დავით დურგლიშვილი (პ/ნ 01001046602) - წილი 0.648%, ქეთევან ასიტაშვილი (პ/ნ 01035000176) - წილი 0.064%, სერგო ჩიკვილაძე (პ/ნ 01017008377) - წილი 0.042%, თამარ ჩხეიძე (პ/ნ 01017035001) - 0.016% და ოლეგი გვენცაძე (პ/ნ 01018005053) - წილი 0.016%.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“ არის პირველი ნაციონალური და საერთაშორისო ოპტიკურ – ბოჭკოვანი ქსელის ოპერატორი საქართველოში.

2. წარდგენის საფუძველი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ზასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

ცვლილებები სააღივხვო პოლიტიკაში

ა) 2016 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2016 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და კომპანიას არ დაუწერგავს, ნაადრევად ექნებათ ან შეიძლება ჰქონდეთ გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ეს სტანდარტებია:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.
- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე გამოყენებაც.

ფასს 15-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისაა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ინსტრუმენტების სახეობათა რიგს, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვაც. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ჯერ კიდევ ფასდება ახალი სტანდარტების, ფასს 15-შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან და ფასს 9-ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა, რადგან მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და მოიცავს კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში. კომპანიას არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ) ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არა-დერივატულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული მზარდი მოთხოვნილების ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები ბალანსში წარდგენილია სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, წმინდა ღირებულებით.

სესხის ამორტიზირებული ღირებულება არის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვებული ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის. შენატანები და შეღავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც ორგანიზაცია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა სესხი პირდაპირ ჩამოიწეროს ხარჯებში როგორც უიმედო, სარეზერვო ანგარიშის გავლის გარეშე. ეს ის შემთხვევაა, როცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სესხი, რომელიც ამ მომენტამდე ჯერ არ ყოფილა საექვო ვალების რეზერვში შეტანილი, უფასურდება ისე, როდესაც ნათელია, რომ მისი ამოღება უიმედოა.

ადრე აღიარებული უიმედო ვალების ამოღება აღიარდება როგორც საექვო ვალების შემცირება. ხარჯებში ჩამოწერილი უიმედო ვალების ამოღება აღიარდება მოგება-ზარალში როგორც უიმედო ვალების ამოღება.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოადგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიფი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან, ადგილზე მიტანასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან რაშიც ის იმყოფება.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- | | |
|--|------|
| – შენობა-ნაგებობების ცვეთის ნორმა შეადგენს | 5 % |
| – საკანალიზაციო არხები და ჭები | 8 % |
| – ავტომობილები, საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 20 % |
| – კომპიუტერული ტექნიკა და მსგავსი აქტივები | 20 % |
| – კავშირგაბმულობის მოწყობილობების და მაგისტრალების | 8 % |

ორგანიზაცია არ განიხილავს ცვეთის მეთოდებს და კოეფიციენტებს ყოველი საფინანსო წლის ბოლოს რომ ასახოს ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ორგანიზაციის რომელიმე ძირითადი საშუალება, რომლისგანაც სარგებელს მოელის გაუფასურებულია.

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

ვალდებულებები

კომპანიის ვალდებულებები ძირითადად წარმოიშობა სამეურნეო ოპერაციების და მოვლენების შედეგად. მოკლევადიან ვალდებულებად აღიარდება ისეთი ვალდებულება, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო გრძელვადიან ვალდებულებად აღიარდება ვალდებულება, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში.

უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება საბალანსო უწყისის შედგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშში როგორც საკურსო ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება ან ზარალი.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია პერიოდის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6468	2.5922
ლარი/1 ევრო	2.7940	3.1044

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ბალანსში აისახება წმინდა თანხით, იმ შემთხვევაში თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს ბალანსში აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულებები იმ პერიოდისათვის, რომელშიც გამოცხადდა.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში მოგების სახით, ხოლო 15% დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომელიც არაა ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15|85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

შემოსავალი მომსახურებიდან

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა:

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება დაითვალოს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს;
- ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

შენიშვნა 4 -ფული და ფულადი ექვივალენტები

	12/31/2016	12/31/2017
ლარები საბანკო ანგარიშებზე	56,125	4,750
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	209	731,762
ევრო საბანკო ანგარიშებზე	634	712
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	56,968	737,225
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	70	-
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	57,039	737,225

შენიშვნა 5 -მოკლევადიანი მოთხოვნები

	12/31/2016	12/31/2017
დებიტორული დავალიანება	17,951,281	23,741,507
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	14,134	30,617
ჯამურად მოკლევადიანი მოთხოვნები	17,965,416	23,772,124

შენიშვნა 6 - გაცემული სესხები

	12/31/2016	12/31/2017
გაცემული სესხები (შპს ახალი ქსელები)	1,321,566	866,851
მისაღები პროცენტები	-	8,145
ჯამურად გაცემული სესხები	1,321,566	874,996

გაცემული სესხები შედგება მხოლოდ ერთი სასესხო ხელშეკრულებისგან, რომლის ჯამური თანხაც შეადგენს 1,929,000 ლარს, წლიური 14%-ში, ვადა - 3 წელი, სესხის მიმღები არის შპს "ახალი ქსელები" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 211326732)

შენიშვნა 7 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	12/31/2016	12/31/2017
ოპტიკური ქურო	1,444	3,315
ოპტიკური კაბელი	158,121	154,662
პოლიეთილენის მილი	918	143
საწვავი	12,789	12,697
ჯამურად სასაქონლო-მატერიალური მარაგები	173,271	170,818

შენიშვნა 8 - ფიქსირებული აქტივები

	დაუმთავრებელი შენიშვნა	კაპიტალიზებადი მასალები	შენიშვნა ნაგებობები	ოპტიკური მაგისტრალური	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამურად
საწყისი ღირებულება									
ბალანსი 31/12/2016	-	35,662	148,007	40,993,372	408,744	143,615	70,506	816,514	42,616,421
დანამატები	407,328	-	-	174,097	-	-	-	-	581,425
აქტივების ჩამოწერა	-	(2,223)	-	-	-	-	-	(155,451)	(157,675)
ბალანსი 31/12/2017	407,328	33,439	148,007	41,167,469	408,744	143,615	70,506	661,063	43,040,171
									-
აკუმულირებული ცვეთა									-
ბალანსი 31/12/2016	-	-	(78,077)	(29,171,127)	(235,457)	(134,830)	(65,393)	(440,993)	(30,125,877)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(3,583)	(912,826)	(33,584)	(1,884)	(1,023)	(65,502)	(1,018,402)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	107,440	107,440
ბალანსი 31/12/2017	-	-	(81,661)	(30,083,954)	(269,040)	(136,715)	(66,415)	(399,055)	(31,036,839)
წმინდა ღირებულება									
ბალანსი 31/12/2016	-	35,662	69,930	11,822,245	173,288	8,785	5,114	375,521	12,490,544
ბალანსი 31/12/2017	407,328	33,439	66,347	11,083,515	139,704	6,901	4,091	262,008	12,003,331

შენიშვნა 9 - გადასახდელი გადასახადები

	12/31/2016	12/31/2017
საშემოსავლო გადასახადი	29,983	28,964
დღგ-ს გადასახადი	101,640	101,640
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	240,863	14,870
სულ გადასახდელი გადასახადები	372,486	145,474

შენიშვნა 10 - გრძელვადიანი სესხები

მიღებული სესხები შედგება მხოლოდ ერთი სასესხო ხელშეკრულებისგან, რომელიც გაფორმებულია კომპანია „დან ტელკოსთან“ და წარმოადგენს საქართველო-რუსეთის მაგისტრალის მშენებლობაზე დახარჯული თანხების ფოკტნეტის კუთვნილ წილს.

სესხის ძირითადი თანხა შეადგენს 3,122,085 აშშ დოლარი. სესხი რეგულირდება 2001 წლის 09 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულებით (Master Agreement). აღნიშნული ხელშეკრულებით სესხის დაფარვა ხდება საზღვაო სისტემაში ფოკტნეტის კუთვნილი შემოსავლების წილიდან (13,28% ფოკტნეტის წილი საზღვაო სისტემაში). 2017 წლის განმავლობაში ფოკტნეტს უკავდებოდა კუთვნილი შემოსავლის 80%. სესხის ფარგლებში ქონება არ არის დაგირავებული.

შენიშვნა 11 - საოპერაციო ხარჯები

	2016 წელი	2017 წელი
შრომის ანაზღაურება	2,168,980	2,049,203
მანქანის ხარჯები	26,006	36,516
კომუნალური ხარჯები	28,958	24,780
საწვავის ხარჯი	73,461	145,032
იჯარის ხარჯი	406,952	242,133
საკანცელარიო ხარჯები	6,012	6,281
კომუნიკაციის ხარჯები	22,399	19,102
საბაჟო ხარჯები	2,306	1,628
სამივლინებო ხარჯები	37,921	22,760
ცვეთის ხარჯი	1,072,158	1,018,402
რემონტის ხარჯები სადგურებზე	83,594	76,665
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,987	1,267
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგულირების საფასურის ხარჯები	100,098	95,245
მაგისტრალის რემონტის ხარჯები	8,707	10,156
საგადასახადო ხარჯები	30,351	29,789
საბანკო ხარჯები	2,432	2,606
საწარმოო დანიშნულების ხარჯები	90,967	77,212
სხვა ხარჯები	304,438	282,269
სულ საოპერაციო ხარჯები	4,468,726	4,141,046

12. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები	12/31/2016	12/31/2017
მოკლევადიანი მოთხოვნები	17,965,416	23,772,124
ფული და ფულადი ექვივალენტები	56,968	737,225
გაცემული სესხები	1,321,566	866,851
სულ ფინანსური აქტივები	19,343,950	25,376,199

ფინანსური ვალდებულებები	12/31/2016	12/31/2017
კრედიტორული დავალიანება	246,512	380,318
გრძელვადიანი სესხები	6,134,420	6,603,120
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,380,932	6,983,438

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	12/31/2016	12/31/2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,965,416	23,772,124
ფული და ფულადი ექვივალენტები	56,968	737,225
გაცემული სესხები	1,321,566	866,851
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	19,343,950	25,376,199

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება
აქტივები						
ფული და ფულადი ექვივალენტები	737,225	-	-	-	-	737,225
მოკლევადიანი მოთხოვნები	23,772,124	-	-	-	-	23,772,124
გაცემული სესხები	434,146	197,173	235,531	-	-	866,851
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე	-	-	702	-	-	702
ვალდებულებები						
კრედიტორული დავალიანება	(380,318)	-	-	-	-	(380,318)
გადასახდელი გადასახადები	(145,474)	-	-	-	-	(145,474)
გრძელვადიანი სესხები	-	-	-	(6,603,120)	-	(6,603,120)
ლიკვიდურობის პოზიცია	24,417,702	197,173	236,233	(6,603,120)	-	18,247,989

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება
აქტივები						
ფული და ფულადი ექვივალენტები	57,039	-	-	-	-	57,039
მოკლევადიანი მოთხოვნები	17,965,416	-	-	-	-	17,965,416
გაცემული სესხები	165,786	171,640	360,987	623,153	-	1,321,566
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე	-	-	-	702	-	702
ვალდებულებები						
კრედიტორული დავალიანება	(246,512)	-	-	-	-	(246,512)
გადასახდელი გადასახადები	(372,486)	-	-	-	-	(372,486)
გრძელვადიანი სესხები	-	-	-	(6,134,420)	-	(6,134,420)
ლიკვიდურობის პოზიცია	17,569,242	171,640	360,987	(5,510,565)	-	12,591,305

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტური, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი და ვალდებულება, თუმცა ამგვარის შემთხვევაში მიზნული იქნება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის რისკები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	4,750	731,762	712	737,225
მოკლევადიანი მოთხოვნები	23,772,124	-	-	23,772,124
გაცემული სესხები	866,851	-	-	866,851
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	(380,318)	-	-	(380,318)
გადასახდელი გადასახადები	(145,474)	-	-	(145,474)
გრძელვადიანი სესხები	-	(6,603,120)	-	(6,603,120)
	24,117,933	(5,871,358)	712	18,247,287

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	56,125	209	634	56,968
მოკლევადიანი მოთხოვნები	17,965,416	-	-	17,965,416
გაცემული სესხები	1,321,566	-	-	1,321,566
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	(246,512)	-	-	(246,512)
გადასახდელი გადასახადები	(372,486)	-	-	(372,486)
გრძელვადიანი სესხები	-	(6,134,420)	-	(6,134,420)
	18,724,109	(6,134,211)	634	12,590,532

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2017	მოკლევადიანი მოთხოვნები	მისაღები პროცენტები	გაცემული სესხები
შპს სისტემ ნეტი	20,903,402	-	-
შპს ახალი ქსელები	2,059,886	8,145	866,851
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2017	22,963,288	8,145	866,851

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2016	მოკლევადიანი მოთხოვნები	მისაღები პროცენტები	გაცემული სესხები
შპს სისტემ ნეტი	15,806,629	-	-
შპს ახალი ქსელები	1,213,339	-	1,321,566
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2016	17,019,968	-	1,321,566

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2017	რეალიზაცია	საპროცენტო შემოსავლები	შესყიდვები
შპს სისტემ ნეტი	8,917,082	-	285,090
შპს ახალი ქსელები	879,221	141,586	24,276
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2017	9,796,303	141,586	309,366

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2016	რეალიზაცია	საპროცენტო შემოსავლები	შესყიდვები
შპს სისტემ ნეტი	9,621,890	-	412,969
შპს ახალი ქსელები	1,158,030	232,566	30,723
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	10,779,920	232,566	443,693

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სისტემ ნეტ“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205267423) - წილი 50% - წარმოადგენს კომპანიის დამფუძნებელს.

შპს „სისტემ ნეტ“-ის დამფუძნებლები არიან: ავთანდილ იაშვილი (პ/ნ 01002004622) - წილი 29.349%, ილია ინჯია (პ/ნ 01007000232) - წილი 21.565, ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616) - წილი 15.318%, ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190) - წილი 7.781%, ხათუნა ინჯია (პ/ნ 01007005738) - წილი 5.714%, თეიმურაზ ბერიშვილი (პ/ნ 01026001596) - წილი 4.183%, ლალი რუხაია (პ/ნ 01007002598) - წილი 4.149%, კონსტანტინე ხაჯალია (პ/ნ 01009002835) - წილი 3.128%, თეიმურაზ ცხვარიშვილი (პ/ნ 01026003544) - წილი 2.028%, ლილი სუხიტაშვილი (პ/ნ 01017003643) - წილი 2.091%, კოტე სამუშია (პ/ნ 01017003792) - წილი 1.699%, ჯამბული გეგეჭკორი (პ/ნ 01017000485) - წილი 1.171%, ნოდარ გაბედავა (პ/ნ 62001023917) - წილი 1.038%, დავით დურგლიშვილი (პ/ნ 01001046602) - წილი 0.648%, ქეთევან ასიტაშვილი (პ/ნ 01035000176) - წილი 0.064%, სერგო ჩიკვილაძე (პ/ნ 01017008377) - წილი 0.042%, თამარ ჩხეიძე (პ/ნ 01017035001) - 0.016% და ოლეგი გვენცაძე (პ/ნ 01018005053) - წილი 0.016%.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი ქსელები“. შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს და შპს „ახალი ქსელები“-ს ჰყავთ საერთო დამფუძნებლები.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს დამფუძნებლები არიან: შპს სისტემ ნეტი (საიდენტიფიკაციო კოდი: 205267423) - წილი 50%, ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616) - წილი 25.3%, ავთანდილ იაშვილი (პ/ნ 01002004622) - წილი 14.3%, კოტე სამუშია (პ/ნ 01017003792) - წილი 5%, ლილი სუხიტაშვილი (პ/ნ 01017003643) - წილი 3.4%, ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190) - წილი 1.4% და ვახტანგ ამაშუკელი (პ/ნ 01012008906) - წილი 0.6%.

შპს „ახალი ქსელები“-ს დამფუძნებლები არიან: ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616) - წილი 46.238%, ავთანდილ იაშვილი (პ/ნ 01002004622) - წილი 33.177%, შპს სისტემ ნეტი (საიდენტიფიკაციო კოდი: 205267423) - წილი 10%, ლილი სუხიტაშვილი (პ/ნ 01017003643) - წილი 4.16%, ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190) - წილი 1.6%, ვახტანგ ამაშუკელი (პ/ნ 01012008906) - წილი 0.64%, თეიმურაზ ლოღობერიძე (პ/ნ 01017003917) - წილი 0.25% და მარინა იაშვილი (პ/ნ 01002002469) - წილი 0.25%.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2016 წელი	2017 წელი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (ფრიდონ ინჯია)	149,040	149,040
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (ავთანდილ იაშვილი)	142,440	142,740
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (თემურ ღოღობერიძე)	38,040	39,780
დირექტორი (ილია ინჯია)	161,640	178,061
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	491,160	509,621

14. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

15. გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

15. გაუთვალისწინებელი გარემოებები (გაგრძელება)

სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მაქსიმალური ვალდებულება, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი დავების შედეგად (თუკი საერთოდ წარმოიშვა), არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში არანაირი ვალდებულებების, ჯარიმების და საურავების დაწესება არ არის შესაძლებელი, თუ სამ წელზე მეტი იქნება გასული საგადასახადო წლიდან, როდესაც მოხდა დარღვევა.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი.

16. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიას არ გააჩნდა ბალანსის შემდგომი მოვლენები.

18. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2018 წლის 26 ივლისს.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“ მმართველობის ანგარიშგება

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს არის პირველი ნაციონალური და საერთაშორისო ოპტიკურ – ბოჭკოვანი ქსელის ოპერატორი საქართველოში, ასევე კომპანია წარმოადგენს ინტერნეტის ერთ-ერთ მსხვილ იმპორტიორს საქართველოში.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“ მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირდა 1996 წლის 5 დეკემბერს, ქ.თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს #5/4-1029; 05/12/1996 გადაწყვეტილებით.

კომპანიის დამფუძნებელი-პარტნიორები არიან როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირები: ვახტანგი ამაშუკელი 0.6%, კოტე სამუშია 5%, ავთანდილ იაშვილი 14.3%, ფრიდონ ინჯია 25.3%, ლილი სუხიტაშვილი 3.4%, ნაირა კვესელავა 1.4% , შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სისტემ ნეტ 50%.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს საქმიანობას დადგენილი წესით კონტროლს უწევს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს ყადაღა, აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა ან სხვა სახის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა არ უფიქსირდება.

დღეისათვის კომპანიის მართვის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა კრებას, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორს.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს იურიდიული

მისამართია ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას 42. იგივე მისამართზეა განლაგებული სათავო ოფისიც .

საქართველოს და კავკასიის რეგიონის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კომპანია „ფოტონეტი“ მოღვაწეობს 1996 წლიდან. 1997 – 1999 წლებში კომპანიამ განახორციელა ორი ფართომასშტაბიანი სატელეკომუნიკაციო პროექტი: პირველი, „საქართველოს ოპტიკური მაგისტრალი“, ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალი, რომელიც მოიცავს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს და მეორე, ერთობლივად დანიურ „გრეიტ ნორზერნ ტელეგრაფ კომპანი – ჯი ენ“ – თან და რუსულ „ვესტელკომ“ – თან, „საქართველო – რუსეთი“ , წყალქვეშა ოპტიკურ – ბოჭკოვანი საკაბელო სისტემა შავ ზღვაში, რომელიც, სოჭის გავლით, აკავშირებს სისტემას „საქართველოს ოპტიკური მაგისტრალი“ ნოვოროსისკის მსხვილ სატელეკომუნიკაციო კვანძთან. ამრიგად, ფოტონეტი გახდა პირველი ნაციონალური და საერთაშორისო ოპტიკურ – ბოჭკოვანი ქსელის ოპერატორი საქართველოში. მრავალწლიანი წარმატებული საქესპლუატაციო გამოცდილების შედეგად, კომპანიამ დაიმკვიდრა წამყვანი პოზიცია ქვეყნის და რეგიონის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე. 2005 წლიდან, „ფოტონეტი“, მსხვილ სატელეკომუნიკაციო კომპანიებთან „სისტემ ნეტი“ და „ახალი ქსელები“ ერთად, შედის ტელეკომუნიკაციების და ტექნოლოგიების ჯგუფში

კომპანია ახორციელებს მომსახურებას საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და სატრანზიტო სატელეკომუნიკაციო არხებით, ოპტიკურ – ბოჭკოვან კაბელებზე აგებული ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით გაწყობილი ქსელის გამოყენებით. საქალაქთაშორისო არხებით მომსახურების მიწოდება ხორციელდება თბილისიდან ბოლნისის, გორის, ხაშურის, ზესტაფონის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, ბათუმის მიმართულებით. კომპანია ახორციელებს საერთაშორისო არხებით მომსახურებას თბილისიდან რუსეთის, დსთ-ს, ევროპის და აზიის ქვეყნების მიმართულებით, გამოყენებულია პირდაპირი კავშირები მეზობელი ქვეყნების ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალების ოპერატორებთან, მათ შორის აზერბაიჯანის ორ და სომხეთის სამ ოპერატორთან. კომპანიის ქსელში შესაძლებელია 2მბიტ/წმ-დან დაწყებული ნებისმიერი სიჩქარის და ნებისმიერი ტიპის სიგნალის გადაცემა. კომპანია ახორციელებს ქსელის

სადღელამისო მომსახურებას მაქსიმალური საიმედოობის და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

კომპანიას გააჩნია ტექნიკური სადგურები საქართველოს ოპტიკური მაგისტრალის გასწვრივ, რომლებიც არ წარმოადგენენ კომპანიის ფილიალებს, შენობები რომლებშიც განთავსებულია სადგურები ძირითადად წარმოადგენენ კომპანიის საკუთრებას (ბოლნისი, დმანისი, გორი, ზესტაფონი, სამტრედია).

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოკტნეტი“-ს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- მომხმარებელთა საიმედო და ხარისხიანი მომსახურება;
- კომპანიის მაქსიმალურად ეფექტური ქსელური ინფრასტრუქტურის ორგანიზება;
- კომპანიის სტაბილური განვითარების პოტენციალის უზრუნველყოფა;
- საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება;
- კომპანიის პარტნიორების ინტერესების დაცვა.

2017 წელს დარგის განვითარების საერთო ტენდენციებს შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოკტნეტი“ აფასებს, როგორც ზომიერად ოპტიმისტურს, რაც დაკავშირებულია საანგარიშო წელში მომხდარ შემდეგ მოვლენებთან, რომლებმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა დარგზე:

- ქვეყანაში ინტერნეტზე და სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა;
- ინფლაციური პროცესები, რომლებიც დაკავშირებული იყო ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებასთან უცხოური ვალუტის მიმართ;

ძირითადი სავარაუდო ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც შეიძლება უახლოეს წლებში უარყოფითად აისახოს კომპანიის განვითარების ტემპებზე, შემდეგია:

- დარგის საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების ხშირი ცვლილებები;
- ეროვნული ვალუტის მაღალი ვოლატილობა სარეზერვო ვალუტების მიმართ;
- ინფლაციის მაღალი ტემპი.
- 2017 წელს მსხვილი სატელეკომუნიკაციო კომპანიების შერწყმის შედეგად (როგორიცაა შპს „მაგთიკომი“ და შპს „სილქნეტი“) ოლიგოპოლიის ჩამოყალიბების

რისკი.

კომპანიის ძირითადი ამოცანაა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა, მოგების და მდგრადი ფულადი ნაკადების მიღება. თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოკტნეტი“-მა მიიღო შემდეგი ზომები:

- სატელეკომუნიკაციო ბაზარზე სიტუაციის ანალიზი და პროგნოზირება;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ბიზნეს-პროცესების, ამოცანებისა და მიზნების სრულყოფა, რომლებიც აკმაყოფილებს წარმატებული საქმიანობის ახალ მოთხოვნებს;
- საინფორმაციო გახსნილობა, საოპერაციო და საწარმოო საქმიანობის სისტემის გამჭვირვალობა;
- ფინანსური კონტროლის გაძლიერება და დანახარჯების შემცირების პროგრამების დანერგვა;
- შესყიდვების, სამუშაოების და მომსახურების სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება.

აღნიშნული ღონისძიებების კომპლექსის რეალიზაცია საშუალებას მისცემს შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოკტნეტი“-ს შეინარჩუნოს არსებული ფინანსური მდგომარეობა და ხელს შეუწყობს ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. ძირითადი შესაძლებელი ფაქტორები, რომლებიც უახლოეს მომავალში შეიძლება აისახოს კომპანიის განვითარების ტემპებზე შემდეგია:

- ცვლილებები დარგის საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში
- ინფლაციის მაღალი ტემპი.

საზოგადოების 2017 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

შემოსავალი რეალიზაციიდან	13,347,968	12,763,377
თვითღირებულების ხარჯები	(3,534,101)	(3,212,404)
სულ საოპერაციო შემოსავალი	9,813,868	9,550,973
საოპერაციო ხარჯები	(4,468,726)	(4,141,046)
საპროცენტო შემოსავლები	232,566	141,586
დადებითი საკურსო სხვაობები	-	166,755
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	5,645	26,454
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	238,212	334,795
საპროცენტო ხარჯები	(507,466)	(502,730)
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(503,532)	-
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	(21,790)	(50,427)
სულ არასაოპერაციო ხარჯები	(1,032,788)	(553,157)
მოგება დაბეგვრამდე	4,550,565	5,191,566
მოგების გადასახადის ხარჯი	(799,802)	(12,971)
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	3,750,763	5,178,595
განგრძობითი ოპერაციებიდან		

კომპანიის საქმიანობის ერთერთი ძირითადი სახეობაა ინტერნეტის შესყიდვა და განაწილება. შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოტონეტი“-ს პარტნიორი ამ საქმიანობაში არის შპს „სისტემ ნეტ“. კომპანიის საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე. 2017 წელს ინტერნეტის რეალიზაციამ შეადგინა 8 918 ათასი ლარი, რაც 703 ათასი ლარით ნაკლებია 2016 წელთან შედარებით. რეალიზაცია 2017 წელს შემცირდა ისეთი ძირითადი ფაქტორების შედეგად, როგორიცაა ბაზარზე ინტერნეტის ფასების მკვეთრი კლება. ამავდროულად, შემცირდა ინტერნეტის შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებიც. 2017 წელს მითითებული ხარჯი შეადგენდა 3212 ათ.ლარს, 322 ათ.ლარით ნაკლებს ვიდრე 2016 წელს. ინტერნეტის შესყიდვისა და განაწილების გარდა, საზოგადოება უზრუნველყოფს სატელეკომუნიკაციო სატრანზიტო მომსახურებას.

ტრანზიტის შედეგად მიღებული ამონაგები წარმოადგენს შემოსავლებს, რომელსაც კომპანია იღებს ნებისმიერი სიჩქარის და ტიპის სიგნალის ტრანზიტისთვის.

კომპანიის განვითარების შედეგები პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით შეიძლება შეფასდეს წარმატებულად. შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტ“-მა წელიწადი დაასრულა 5 178 ათასი ლარის წმინდა მოგებით, რაც 1428 ათასი ლარით მეტია 2016 წელთან შედარებით.

2017 წელს შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს ქსელის ოპერირებისას სულ მოხდა 7 ტექნოლოგიური ინციდენტი (კაბელის დაზიანება), რაც 5-ით ნაკლებია 2016 წელთან შედარებით. კაბელის დაზიანების რაოდენობის შემცირება დაკავშირებულია არსებული ტექნიკური ზედამხედველობის და გაფრთხილებების პროცედურების განახლებასთან, უფრო ეფექტური პროცედურების და მოქნილი ზედამხედველობის სისტემის დანერგვასთან. სახმელეთო მაგისტრალზე 2017 წლის განმავლობაში თორმეტჯერ ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, რაც 11-ჯერ აღემატება 2016 წელს ჩატარებული სამუშაოების შემთხვევებს, რაც დაკავშირებული საგზაო ინფრასტრუქტურის ინტენსიურ ზრდასთან.

2017 წლის განმავლობაში საზოგადოების შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების განყოფილების ძალებით განხორციელდა საორგანიზაციო-ტექნიკური, საინფორმაციო-მეთოდური, საზედამხედველო და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რაც მიზნად ისახავდა ხანძრების, ავარიების და სხვა ტექნოლოგიური დარღვევების თავიდან აცილებას, მოწყობილობების და პერსონალის საქსპლუატაციო საიმედოობის გაზრდას, ავარიულობის და ტრავმატიზმის შემცირებას.

კომპანიის განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- კომპანიის შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- ქსელის დაზიანებების მინიმიზაცია;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;

კომპანია ახორციელებს საინვესტიციო პოლიტიკას ეკონომიკური ეფექტურობის და მიზანშეწონილობის პრინციპების საფუძველზე. კომპანიის საინვესტიციო საქმიანობის

ძირითადი პერსპექტიული მიმართულებებია: ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, დაზიანებების შემცირება, ქსელის საიმედოობის და უსაფრთხოების ამაღლება და გაფართოება.

2017 წელს საზოგადოებამ განახორციელა საინვესტიციო დაბანდებები (ათვისებასთან დაკავშირებით) თანხით 581 ათასი ლარი. 2017 წელს პროექტების და სამუშაოების დაფინანსების წყარო იყო კომპანიის საკუთარი სახსრები.

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს: არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში; სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში; უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე; შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად; წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს

ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.

3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

შპს „ფოპტნეტი“ შიდა კონტროლის სისტემა წარმოადგენს კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის, მენეჯმენტის და სხვა თანამშრომლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის, ორგანიზაციული ღონისძიებების, პროცედურებისა და მოქმედებების ერთიანობას, რომელთაც უნდა უზრუნველყონ კომპანიის მიზნების მიღწევის გონივრული რწმენა და მისაღებ დონემდე რისკების შემცირება. კომპანიის შიდა კონტროლის სისტემა შექმნილია კომპანიის, მისი ცალკეული სამსახურების, კომპანიის მართვის ორგანოების თანამდებობის პირების და კომპანიის აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის რეგულარული კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონმდებლობასთან, კომპანიის წესდებასა და შიდა დოკუმენტებთან შესაბამისობაზე. შიდა კონტროლის სფეროში შპს „ფოპტნეტი“ ხელმძღვანელობს შემდეგი მიდგომებით:

მიდგომა 1. კორპორაციული მართვის და შიდა კონტროლის ორგანიზების და ეფექტურობის შეფასებისას შიდა კონტროლის სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობა.

მიდგომა 2. კომპანიის ეფექტური კონტროლის გარემოს შექმნა იმ ღონისძიებებისა და მოქმედებების საშუალებით, რომელთაც ახორციელებს ხელმძღვანელობა მართვის ყველა დონეზე.

მიდგომა 3. შიდა კონტროლის ყველა სუბიექტს შორის ინფორმაციის გაცვლის საიმედო და ეფექტური სისტემის ფუნქციონირება, მათ მიერ შიდა კონტროლის ფუნქციებისა და პროცედურების სათანადოდ შესრულების მიზნით. მიდგომა

4. შიდა კონტროლის პროცესების ეფექტურობის მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში კომპანიის საქმიანობის

პრიორიტეტული მიმართულებები საანგარიშო პერიოდში იყო მართვის სისტემის ეფექტურობის გაზრდა, მათ შორის, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, შრომის მწარმოებლურობის გაზრდა, მუშაკების შრომის დაცვის საკითხები.

შპს „ფოკტნეტის“ საკადრო პოლიტიკა საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის და საწარმოო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევას და კომპანიის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას და ხორციელდება ისეთი შემადგენელების მეშვეობით, როგორიცაა:

- ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა;
- მუშაკების მომზადების, სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება
- პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფა;

კომპანიის მუშაკების სტრუქტურა შედგება : 2 ხელმძღვანელი პირისგან, 9 სამსახურის უფროსისგან, 12 მოსამსახურე პერსონალისგან, 33 ტექნიკური სპეციალისტისგან და 54 ზედამხედველისგან.

კომპანიაში დასაქმებულია 110 თანამშრომელი. აღსანიშნავია რომ კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს გაითვალისწინოს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები გენდერული ბალანსის დაცვაზე, სწორედ ამიტომ შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოკტნეტში“ დასაქმებული ქალები იკავებენ არა მარტო ტრადიციულ პოზიციებს (ფინანსური, ოფის მენეჯერი, თანამშემწე, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი) არამედ წამყვან ტექნიკურ პოზიციებსაც.

შპს „ფოკტნეტის“ საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია კომპანიის მუშაკების უწყვეტი პროფესიული სწავლების დაგეგმვა და განხორციელება, რაც მოიცავს პერსონალის მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე, მუშაკების შრომის დაცვის საკითხებს. პერსონალის მომზადება ორიენტირებულია მუშაკის მიერ ახალი ცოდნის მიღებაზე კომპანიისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებებით, უნარ-ჩვევების განვითარებაზე კონკრეტული სამუშაო სიტუაციების გადასაჭრელად.

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შპს „ფოკტნეტი“ არ მიეკუთვნება იმ საწარმოთა რიცხვს, რომელთა საქმიანობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს

გარემოს. ამ მიზეზით, 2017 წლის განმავლობაში არ ყოფილა დაგეგმილი და, შესაბამისად, არ განხორციელებულა გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ხასიათის ღონისძიებები. კომპანია ახორციელებს საკუთარი ვალდებულებების პერიოდულ გადაფასებას გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2017 წელს გარიგებები, რომელთა ღირებულება აღემატებოდა კომპანიის აქტივების ღირებულების 50 (ორმოცდაათი) პროცენტს, შპს „ფოპტნეტს“ არ დაუდია.



დირექტორი

03/07/2018

